



სარჩევი



რა არის ახალი 2

ბალანსის ელემენტების შეფასების ფუნქციონალი 2

ფინანსური KPI: მიზნობრივი ინდექსების განწერა და მათი კონტროლი 3

ზოგადი აღწერა 3

ფინანსური KPI-ის ფორმულებისა და სტრუქტურის აწყობა 3

დოკუმენტი: მიზნობრივი KPI 5

KPI ანგარიშგება 6

BOG-თან ინფორმაციის გაცვლა 7

შეკვეთა მომწოდებლის დოკუმენტის მექანიკური დახურვა 9

ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის დაბეგვრის ავტომატიზაცია 9

შეტყობინებების დაგზავნა მომხმარებლებთან 11



გასწორებული შეცდომები 12



სხვა მოდიფიკაციები 13



ბალანსის რელიზი_1.3.1.2



15.07.2022




რა არის ახალი

ბალანსის ელემენტების შეფასების ფუნქციონალი

ბალანსის მომხმარებლებთან უფრო ეფექტური კომუნიკაციისათვის პროგრამა ბალანსში დაგამატეთ, მისი ელემენტების შეფასების ფუნქციონალი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს ნებისმიერ ელემენტზე დააფიქსიროს საკუთარი აზრი. ფუნქციონალის მეშვეობით თქვენ შეძლებთ ელემენტის შეფასებას და სურვილისამებრ რეკომენდაციის ან შენიშვნის გამოგზავნას. შეფასების დილაკი განთავსებულია თითოეულ ელემენტზე არსებულ სტანდარტულ დილაკებთან ერთად.


დოკუმენტებზე




დოკუმენტების სიაზე




ცნობარებზე



ანგარიშგებებზე



დილაკზე დაჭერით გამოდის შემდეგი ფორმა




თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

☆☆☆☆☆

სურვილისამებრ დაგვიტოვეთ თქვენი რეკომენდაცია/შენიშვნა

შეფასება



თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

★★★★★

სურვილისამებრ დაგვიტოვეთ თქვენი რეკომენდაცია/შენიშვნა

შეფასება

გარსკვლაგებით შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი კმაყოფილება, ხოლო კომენტარის ველში შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი რეკომენდაციები ან შენიშვნები ელემენტთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც დაასრულებთ შეფასებას, გამოიყენეთ დილაკი „შეფასება“. შეფასების დასრულების შემდეგ გამოჩნდება შემდეგი შეტყობინება, რაც ნიშნავს რომ თქვენი აზრი წარმატებით იქნა დაფიქსირებული.



ფინანსური KPI: მიზნობრივი ინდექსების გაწერა და მათი კონტროლი

ზოგადი აღწერა

ბიზნესის მართვისას დიდი მნიშვნელობა აქ არა მარტო მიმდინარე პროცესებზე თვალის დევნას არამედ იმის ანალიზს თუ რა შედეგი რა მიზეზით იქნა გამოწვეული. KPI მაჩვენებლები საშუალებას აძლევს ბიზნესის მფლობელებს სწრაფად და მარტივად ჩაატარონ ფინანსური დეითას ანალიზი, უფრო ინფორმირებული და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროგრამიში შესაძლებელი გახდა ფინანსური KPI კოეფიციენტების აწყობა, თითოეული კოეფიციენტზე მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენა და გადახრების კონტროლი შესაბამისი ანგარიშგების საშუალებით


ფინანსური KPI-ის ფორმულებისა და სტრუქტურის აწყობა

KPI მიზნების დასადგებად საჭიროა პროგრამაში აწყობილი იყოს აწყობადი ფინანსური KPI კოეფიციენტების ფორმულები და ანგარიშგებების სტრუქტურა.



KPI ანგარიშგების სტრუქტურისა და ფორმულების განერის ფუნქციონალს ნახავთ, ფინანსური აღრიცხვის მოდულში და ჯგუფებაში ანყობადი ანგარიშგებები. ანგარიშგების სტრუქტურის ანყობისას მუხლებისა და ჯგუფების დამატება შესაძლებელია იგივე ლოგიკით, როგორც ხდება ეს ბალანსისა და საქმიანობის ანალიზის ანგარიშგების სტრუქტურების ანყობისას.

მუხლის დამატება და ფორმულის განერა:



KPI კოეფიციენტების ფორმულების განერა შესაძლებელია ანყობადი ბალანსისა და საქმიანობის ანალიზის მუხლების ურთიერთმედების მიხედვით. ფორმულის ფუნქციონალის ინტერფეისი მოიცავს: კოეფიციენტის პარამეტრების ველებს, ფორმულის ფანჯარას, ფორმულაში შემავალის ელემენტების დაჯგუფებას : ანყობადი საქმიანობის ანალიზისა და ანყობადი ბალანსის პარამეტრების დაჯგუფებას, მათემატიკური ოპერატორებისა და კომენტარის ველს

ახალი კოეფიციენტის დამატებისას განახორციელეთ შემდეგი ნაბიჯები

დასახელების ველში ეთითება კოეფიციენტის სახელი
 ჯგუფში მიუთითეთ დაჯგუფება, რომელსაც ეკუთვნის კოეფიციენტი
 საქმიანობის ანალიზის პარამეტრების ჯგუფში ირჩევთ სასურველ ანყობას, რომლის მუხლების გამოყენებაც გსურთ ფორმულაში



ბალანსის პარამეტრების ჯგუფში ირჩევთ სასურველ ანყობას, რომლის მუხლების გამოყენებაც გსურთ ფორმულაში

ბალანსისა და საქმიანობის ანალიზის ელემენტების გადაყრა შეგიძლიათ დრეგ ენდ დროვის მეთოდით, ასევე შეგიძლიათ დრეგ ენდ დროვით ჩააგლოთ შესაბამისი მათემატიკური ოპერატორი.

ალაში პროცენტის მონიშვნით თქვენ აღინსნავთ რომ არსებული კოეფიციენტი უნდა გამოიხატოს პროცენტის ფორმატში

„უპირატესია უარყოფითი გადახრის“ აღმით თქვენ კოეფიციენტზე განერთ მიზნიდან გადახრისას უარყოფითი გადახრა უმჯობესია თუ არა ბიზნესისთვის

კომენტარის ველში შეგიძლიათ განერთ კოეფიციენტის მოკლე აღწერა

დილაკი „ფორმულის შემონმებით“ შეძლებთ შეამონმთ რამდენად გამოსადეგია თქვენ მიერ ანყობილი ფორმულა

თქვენ ბაზაში უკვე ნახავთ წინასწარ ანყობილ სტანდარტულ ფინანსურ KPI-ს ანყობას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ბალანსისა და საქმიანობის ანალიზის სტანდარტულ ანყობების მუხლებზე.

იმისათვის რომ ანგარიშგებაში თქვენ შეძლოთ მონაცემების გამოტანა, საჭირო იქნება სტანდარტული ანგარიშგებებში შესაბამისი ანგარიშების შევსება.

დოკუმენტი: მიზნობრივი KPI

ფინანსური აღრიცხვის მოდულში დაემატა ახალი დოკუმენტი, მიზნობრივი KPI. მიზნების დადგენა შესაძლებელია ფილიალის ჭრილში.

დოკუმენტს აქვს სტანდარტული დოკუმენტის თარიღი. დილაკზე „შევისება“ დაჭერით, პროგრამა გავა KPI ანგარიშგების ანყობების სიაზე და შესაძლებელი იქნება სასურველი ანგარიშგების ანყობის არჩევა. არჩევის შემდეგ დოკუმენტში შეივისება ანგარიშგების ყველა მუხლი, მათ შორის მაჯამებელი მუხლები. უშუალოდ გეგმის დასადგენად თანხის ველში ან ველებში შეიყვანება მიზნის შესაბამისი თანხა.

მუხლების უკეთესად აღსაქმელად და მიზნების მარტივად შესაყვანად დოკუმენტს აქვს გადამრთველი „იერარქია“ და „სია“. სტანდარტულად დოკუმენტში მონიშნულია იერარქია და შესაძლებელია მთლიანი სტრუქტურის დანახვა. სიაზე გადართვით დოკუმენტში გამოჩნდება უშუალოდ მხოლოდ ის მუხლები რომლებზეც უნდა მოხდეს მიზნების მითითება.



გატარება და დახურვა ჩაწერა გატარება კოდები

ნომერი: 0000000001 თარიღი: 1/1/2022 12:00:00 AM გატარებულია იერარქია სია

KPI დამატებით

შეესება

მაჩვენებელი	სულ
მომგებიანობა	210.00
საოპერაციო შემოსავალი	50.00
საერთო მოგების ზღვარი	60.00
საოპერაციო მოგების ზღვარი	50.00
მომგებიანობის კოეფიციენტი	50.00
აქტივობა	300.00
დებიტ.დავალანების დღეები	150.00
კრედიტ. ვალდებულებების დღე...	150.00
რენტაბელობა	27.00
ROA	6.00
ROCE	21.00
ლიკვიდურობა	3.00
Current Ratio	2.00
Quick Ratio	1.00
გადახდისუნარიანობა	12.00
სესხის კაპიტალთან თანაფარდობა	5.00
სესხის კაპიტალთან თანაფარდობა	5.00

KPI ანგარიშგება

ფინანსური აღრიცხვის ჩანართში დაემატა ანგარიშგება: „ფინანსური KPI“. აღნიშნული ანგარიშგება გამოიყენება დადგენილი მიზნების კონტროლისთვის: მიზნების შესადარებლად ფაქტთან, მიზნებისა და ფაქტს შორის გადახრისა და კრიტიკულობის დასანახად.

ანგარიშგებას აქვს KPI ჯგუფის ველი, პერიოდი და მიზნობრივი KPI-ის დოკუმენტი. KPI ჯგუფის არჩევის შემდეგ მიზნობრივი KPI-ის დოკუმენტები გაიფილტრება ისეთი დოკუმენტებით, რომელთა ანცობაც ემთხვევა ანგარიშგების KPI ჯგუფს. რეპორტი დაფორმირდება იმის მიხედვით თუ ანგარიშგებაში რა პერიოდიცაა მითითებული. ანგარიშგების ყველა ვარიანტისთვის გადმოდის ფაქტი, მიზანი, კრიტიკულობის მაჩვენებელი ილუსტრაცია და გადახრა.

KPI კვლევა: KPI (საჩანაარხოლო) პერიოდი: 1/1/2021 - 12/31/2021 დოკუმენტი მიზნობრივი KPI: მიზნობრივი KPI 1 - 1/2/2021

ფორმირება კოდები -35,111.78


მაჩვენებელი	ფაქტი	მიზანი	გადახრა
აქტივობა	1,994.73	400.00	1,594.73
დებიტ.დავალანების დღეები	354.57	200.00	154.57
კრედიტ. ვალდებულებების დღეები	1,640.16	200.00	1,440.16
გადახდისუნარიანობა	22.38	12.00	10.38
პროცენტის დაფარვა	2.67	2.00	0.67
სესხის აქტივებთან თანაფარდობა	8.15%	5%	3.15%
სესხის კაპიტალთან თანაფარდობა	11.56%	5%	6.56%
ლიკვიდურობა	4.53	3.00	1.53
Current Ratio	2.99	2.00	0.99
Quick Ratio	1.54	1.00	0.54
მომგებიანობა	565,028.22	600,140.00	-35,111.78
მომგებიანობის კოეფიციენტი	11.53%	40%	-28.47%
საერთო მოგების ზღვარი	74.48%	60%	14.48%
საოპერაციო მოგების ზღვარი	13.99%	40%	-26.01%
საოპერაციო შემოსავალი	564,928.22	600,000.00	-35,071.78
რენტაბელობა	5.95	27.00	-21.05
ROA	1.61%	6%	-4.39%
ROCE	4.34%	21%	-16.66%




BOG-თან ინფორმაციის გაცვლა

ბალანსმა და საქართველოს ბანკმა დაიწყო ერთობლივი პროექტი რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პროცესების გამარტივება. პროექტი გულისხმობს ორ სისტემას შორის მონაცემების ინტეგრაციას.

პირველადი ინტეგრაციით ხდება კომპანიის დარეგისტრირება საქართველოს ბანკის სისტემაში. აღნიშნულით საქართველოს ბანკს მიეწოდება კლიენტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. იმისათვის რომ საქართველოს ბანკში დარეგისტრირდეს კლიენტი, განახლების შემდეგ, ან ბაზაში საქართველოს ბანკის ანგარიშის დამატების დროს უნდა განაცხადოს თანხმობა. თანხმობა უნდა განხორციელდეს კლიენტის რეალური სამუშაო ბაზიდან.



თუ განახლების შემდეგ არ დაეთანხმებით საქართველოს ბანკის სისტემაში რეგისტრაციას, მომავალშიც შესაძლებელი იქნება დარეგისტრირება. აღმინისტრირება>მონაცემების სინქრონიზაციის აწყობები>საქართველოს ბანკში რეგისტრაციაზე დაჭერით.




ბანკის სისტემაში დარეგისტრირებულ კლიენტებს ბანკი გაუკეთებს შეთავაზებას. შეთავაზება შეიძლება მოიცავდეს მომსახურების განვითარების ეფექტურობის გაუმჯობესებას, მათ შორის საკრედიტო განაცხადების სწრაფად და მარტივად დამუშავებას. ამისათვის ბანკი გამოიყენებს კლიენტის ფინანსურ ინფორმაციას, ბრუნვით უწყისს და გატარებების ჟურნალს. გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ ინფორმაციის გაცვლის თანხმობას ბანკი აიღებს კომპანიის უფლებამოსილი პირისგან და ბალანსში საჭირო იქნება დამატებით რეალური სამუშაო ბაზის დადასტურება მონაცემების ინტეგრაციისთვის.



მას შემდეგ რაც კომპანიის უფლებამოსილი პირი, ინტერნეტ ბანკში დაეთანხმება მონაცემების გაზიარებას ბალანსის ბაზიდან, ბალანსში ადმინისტრატორის როლის მომხმარებლებს გამოუვათ შეტყობინება:

მონაცემების გაცვლა საქართველოს ბანკთან



თქვენი კომპანიის უფლებამოსილმა პირმა საქართველოს ბანკის სისტემაში განაცხადა თანხმობა ბალანსთან ინტეგრაციაზე. რის მიხედვითაც ბალანსიდან საქართველოს ბანკში პერიოდულად გაიგზავნება კომპანიის ფინანსური მონაცემები. კერძოდ: ბრუნვითი უწყისი, გატარებების ჟურნალი, ინფორმაცია გაყიდვებისა და გადახდების შესახებ და ინფორმაცია ინვოისებთან დაკავშირებით. ინფორმაციის გაგზავნის პერიოდულობას და მონაცემების პერიოდს განსაზღვრავს საქართველოს ბანკი. ბანკი აღნიშნულ ინფორმაციას გამოიყენებს თქვენი კომპანიისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, მათ შორის საკრედიტო განაცხადის დასამუშავებლად.

ინტეგრაციის პროცესის დასრულებისთვის, გთხოვთ დაადასტუროთ რომ მიმდინარე ბაზა არის თქვენი რეალური სამუშაო ბაზა და ამ ბაზიდან უნდა მოხდეს ინფორმაციის გაზიარება.

ვეთანხმები პირობებს **გაუქმება**

დადასტურების შემდეგ დაიწყება ინტეგრაციის პროცესი. რაც გულისხმობს ბანკის მიერ მოთხოვნილ პერიოდზე ბალანსის ბაზიდან კომპანიის ბრუნვითი უწყისისა და გატარებების ჟურნალის გაზიარებას.

გაუქმებაზე დაჭერის შემთხვევაში, მომავალში კვლავაც შესაძლებელი იქნება ფუნქციონალის გააქტიურება, ადმინისტრირება>მონაცემების სინქრონიზაციის აწყობები>“მონაცემების გაცვლა საქართველოს ბანკთან“ ალმის მონიშვნით.

თუ მომხმარებელს აღარ ენდომება ბანკთან მონაცემების ავტომატური გაგზავნა, შესაძლებელია უარის თქმა უფლებამოსილი პირის მიერ ინტერნეტ ბანკში ან ბალანსში მონიშნული ალმის „მონაცემების გაცვლა საქართველოს ბანკთან“, ამორთვა.



შეკვეთა მომწოდებლის დოკუმენტის მექანიკური დახურვა

პროგრამა ბალანში შესაძლებელი გახდა შეკვეთა მომწოდებლის დოკუმენტის მექანიკურად დახურვა, ამისათვის შეკვეთა მომწოდებლის დოკუმენტების სიაზე დაემატა შეკვეთის დახურვის ლილაკი

შეკვეთა მომწოდებელს

თარიღი	ნომერი	მომწოდებელი	მდგომარეობა	თანხა	ვალუტა	დეპარტამენტი	კომენტარები
12.07.2022	0000000014	შეკვათა	ნაწილობრივ მიწოდებული	500.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
12.07.2022	0000000015	მომწოდებელი N1	დახურული	500.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
12.07.2022	0000000016	მომწოდებელი N1	დახურული	10 000.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
12.07.2022	0000000017	მომწოდებელი N1	დახურული	10 000.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
12.07.2022	0000000018	მომწოდებელი N1	დახურული	250.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
12.07.2022	0000000019	მომწოდებელი N1	დახურული	110.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	
13.07.2022	0000000020	მომწოდებელი N1	ფრა	500.00	GEL	ფინანსური დეპარტამენტი	

შესაბამისად ლილაკზე დაჭით შეკვეთა იხურება და მდგომარეობის სტატუსი ენიჭება **დახურული**.

დახურული შეკვეთების სანახაგად მომწოდებლების შეკვეთების ანალიზის ანგარიშგებაში დაემატა ჩანართი **დახურულია**.

მომწოდებლების შეკვეთების ანალიზი

პერიოდი: თვე | ივლისი 2022 - ეს თვე | შეკვეთა მომწოდებელს: შეკვეთა მომწოდებელს 15 - 12.07.2022

მომწოდებელი: მომწოდებელი N1 | ნომენკლატურა: მომსახურება

ფორმირება | აწყობები | ანგარიშგების ვარიანტები

შერჩევა: მომწოდებელი ტოლია "მომწოდებელი N1" და შეკვეთა მომწოდებელს ტოლია "შეკვეთა მომწოდებელს 15 - 12.07.2022"

საწყობი	შეკვეთილია		დახურულია		შესყიდულია		შესასყიდა	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
მომწოდებელი								
შეკვეთა მომწოდებელს								
ნომენკლატურა								
თბილისი	5	500	2	260	3	240		
მომწოდებელი N1	5	500	2	260	3	240		
შეკვეთა მომწოდებელს 15 - 12.07.2022	5	500	2	260	3	240		
კალამი	5	500	2	260	3	240		
სულ	5	500	2	260	3	240		

ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის დაბეგვრის ავტომატიზაცია

ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის დაბეგვრის ავტომატიზაციისთვის პროგრამა ბალანსში სესხის ხელშეკრულებას დაემატა ალამი **საშემოსავლო გადასახადი** და **განაკვეთი**. აღნიშნული ველები მისაწვდომია, როცა სესხის ხელშეკრულებაზე კრედიტორი თანამშრომელია ან მომწოდებელი დღგ-ს არაგადამხდელი ფიზიკური პირი.



დასახელება: გიორგი გიორგაძის სესხი კოდი: 000000008

სტატუსი: აქტიური ▾

პარამეტრები გრაფიკი ანგარიშები დამატებით

კრედიტორი: გიორგაძე გიორგი ...

საშემოსავლო გადასახადი განაკვეთი: 5% (პროცენტი) ?

სესხის ნომერი:

სესხის თანხა:

სესხის ტიპი:

საპროცენტო განაკვეთი:

სესხის აღების თარიღი:

საკომისიოს ტიპი: გრაფიკის მიხედვით ▾

ვალუტა: GEL ▾

პირველი დარიცხვის თარიღი: 05.05.2022

ბოლო დარიცხვის თარიღი: 06.06.2022

საშემოსავლო გადასახადის აღმით მონიშნულ ხელშეკრულებაზე ფულის გასვლა ბანკიდან და სალაროს გასავლის ორდერში დაიანგარიშება საშემოსავლო გადასახადი თუ ოპერაციის ტიპი არჩეულია სესხის გადახდა და თანხის ტიპში მითითებულია პროცენტი. პროცენტის საშემოსავლოს გადასახადის დარიცხვის მეთოდი დამოკიდებულია საშემოსავლოს აღრიცხვის ტიპზე **ადმინისტრირება > გადასახადები >**

საშემოსავლო

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იყენებს საშემოსავლოს აღრიცხვის მეთოდს **დარიცხვისას და გადახდისას** კრედიტორის პროცენტის საშემოსავლოს ანგარიშის ასაღრიცხავად პროგრამაში დაემატა ახალი ანგარიში „კრედიტორის საშემოსავლოს შუალედური ანგარიში“ რომელიც ავტომატურად არის განვრდილი ძირითად ანგარიშებში.

ბანკის ამონაწერის გატარებისას კრედიტორის პროცენტის საშემოსავლოს დასაანგარიშებლად ბანკის ამონაწერის ჩატვირთვის წესებში სესხის გადახდის ტიპს დაემატა ალამი **საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა**.



☆ სესხის პროცენტის გადახდა (ამონაწერის ჩატვირთვის წესები) 🔗 ⋮ □ ✕

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა 🗑️ კოდვს

ძირითადი მონაცემები

ოპერაციის ტიპი: კოდი:

დასახელება: პრიორიტეტულობა: არ გამოიყენება:

✓ შევსების პარამეტრები

საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა:

პროცენტის საშემოსავლო ანგარიში:

პროცენტის საშემოსავლოს შუალედური ანგარიში:

სესხის ხელშეკრ.

თანხის ტიპი პროცენტი

ანგარიში

ვალუტა

ფსმ შუხლი

ფილიალი

მივების პარამეტრები

აღნიშნული აღმის მონიშვნა საშუალებას იძლევა ბანკის ტრანზაქციების გატარებისას ფიზიკურ პირზე გაცემულ პროცენტზე პროგრამამ დაარიცხოს საშემოსავლო გადასახადი.

შეტყობინებების დაგზავნა მომხმარებლებთან

პროგრამაში დაემატა ბაზის მომხმარებლებისთვის შეტყობინების დაგზავნის ფუნქციონალი. ბაზის ადმინისტრატორს შეუძლია მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია დაგეგმილ ტექნიკურ ან სხვა სამუშაოებზე. შეტყობინებების გამოყენება შესაძლებელია: ადმინისტრირება>ორგანიზერი>შეტყობინებების დაგზავნა მომხმარებლებისათვის.

☆ შეტყობინებები მომხმარებლებს (შექმნა) 🔗 ⋮ □ ✕

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა TEST კოდვს

დასაწყისი: დასასრული:

შეტყობინების იდენტიფიკატორი:

შეტყობინების ტექსტი:

აქტიური:



შეტყობინებაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს შეტყობინების დასაწყისი და დასასრული. ეს პერიოდი განსაზღვრავს თუ რა პერიოდში გამოუჩნდება მომხმარებელს შეტყობინება. თუ მიმდინარე დრო განსხვავდება მითითებული პერიოდისგან, მომხმარებელს შეტყობინება აღარ გამოუჩნდება. შეტყობინების გააქტიურებისთვის უნდა მოინიშნოს ალაში „აქტიური“.

შეტყობინების ტექსტში მიეთითება ის ინფორმაცია რაც მომხმარებელს უნდა გამოუჩნდეს. ტექსტის შეყვანის შემდეგ „TEST“ ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია შეტყობინების წინასწარი დათვალიერება.

თითო შეტყობინება თითო მომხმარებელს გამოუჩნდება ერთხელ. შემახსენებელი შეტყობინების დაგზავნის სურვილის შემთხვევაში, ბაზაში უნდა დაემატოს ახალი შეტყობინება. OK-ზე დაჭერით შეტყობინება დაიხურება და მომხმარებელი განაგრძობს მუშაობას.



გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია შერეული გადახდის ტიპით გადახდისას ლოიალურობის ბარათზე ქულის დარიცხვის ხარვეზი
- გასწორებულია ამონაწერის შემოტვირთვის დროს, ხარჯების კლასის ანგარიშზე ანალიტიკის არჩევისას ფიქსირებადი ხარვეზი
- გასწორებულია სწრაფი ღილაკებიდან შეფუთვის რაოდენობის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია სერიული საქონლის დაბრუნების ხარვეზი
- გასწორებულია ფაქტურის განერის ხარვეზი როდესაც ვიყენებთ წვდომის შემზღვევას მომხმარებლების მიხედვით
- გასწორებულია ბუღალტრულ ოპერაციებში ისეთი ანგარიშის არჩევის ხარვეზი რომელსაც ანალიტიკად მითითებული აქვს ავანსის დოკუმენტი
- გასწორებულია შესყიდვის დოკუმენტში ავანსის ჩანართში ავანსის დღგ-ს ველის შეუვსებლობით გამოწვეული გატარების ბლოკირების ხარვეზი





სხვა მოდიფიკაციები

- შესაძლებელი გახდა ფილიალის გამოჩენა "დოკუმენტის მიბმისა" და "მიბმის გაუქმების" დამუშავებაში ხელით მიბმისას/გაუქმებისას
- შესაძლებელი გახდა საფუძველზე შექმნილ დოკუმენტებში საერთო რეკვიზიტების გადავსება
- შესაძლებელი გახდა მიღებული ზედნადების დამუშავებიდან მომსახურების ტიპის ნომენკლატურების შექმნა
- შესაძლებელი გახდა ნომენკლატურის ექსელით შეტვირთვისას რეკვიზიტი "ახალი" მითითება
- დაემატა მყიდველის შეკვეთის დოკუმენტში შტრიხკოდით ძეხვის დილაკი
- შესაძლებელი გახდა ვალუტის ცნობარზე დამატებითი რეკვიზიტების დამატება
- შესაძლებელი გახდა დოკუმენტის შეკვეთა მომწოდებელს მექანიკურად დახურვა
- აწყობად ანგარიშგებებს: ბალანსის რეპორტსა და საქმიანობის ანალიზს დაემატა აღრიცხვის და აწყობების შემოწმების ფუნქციონალი
- ფინანსური მდგომარეობის მესამე მეოთხე კატეგორიის ანგარიშგებაზე განახლდა აღრიცხვის და აწყობების შემოწმების ფორმა

